ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3238844

ნომერი: AR1497875

თარიღი : 25.04.2017

გაცემის თარიღი : 15.05.2017

გაცნობის თარიღი : 15.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 , მიმდებარედ (ნაკვეთი 19/016)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ ქობულია პ/ნ 01024000970
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 75 ბ. 20

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ქობულია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ქობულიები და პარტნიორები
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203863186

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. N11-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 19/016)/გრიშაშვილის ქ. N11/გრიშაშვილის ქ. N11-ის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N17, 27.04.2017 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი რეკომენდაციით - ახალი მოცულობები ფარავს არსებული აბანოების გუმბათებს და გარემო სივრცეს. სასურველია, ბუნებრივი რელიეფის და განაშენიანების თანაფარდობის მაქსიმალური დაცვა. წარმოსადგენია უკვე დამტკიცებული პროექტების ერთობლივი რენდერი. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ვასილ ქობულიას უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. N11-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 19/016)/გრიშაშვილის ქ. N11/გრიშაშვილის ქ. N11-ის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმებას. რეკომენდაცია: ახალი მოცულობები ფარავს არსებული აბანოების გუმბათებს და გარემო სივრცეს. სასურველია, ბუნებრივი რელიეფის და განაშენიანების თანაფარდობის მაქსიმალური დაცვა. წარმოსადგენია უკვე დამტკიცებული პროექტების ერთობლივი რენდერი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.